ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061005

ქვეპროგრამის დასახელება:

კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	45,000
სულ ბიუჯეტი:	45,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზრის მოდერნიზაცია საჭიროებს დასაქმებული შრომითი ძალის უნარების სისტემატურად ამაღლებას ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს წარმოების შესაძლებლობების გაზრდას ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვით, ვინაიდან, დაბალია ცნობიერება ადამიანური რესურსების დაგეგმვის, მათი განვითარებისათვის სტაბილური პირობების შექმნის და გრძელვადიანი პერსპექტივის დასახვის კუთხით. გარდა ამისა, შრომის ბაზარი მოითხოვს სამუშაო ძალის მუდმივ განახლებას და ზრდას. დამსაქმებელს მასთან დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისათვის სჭირდება მხარდაჭერა სწავლების ფინანსების, მეთოდური მასალების განვითარების, ინსტრუქტორების მომზადების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციების განვითარებას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, რაც ორგანიზაციის მდგრად განვითარებას განაპირობებს.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	60	750	45,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			45,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება მომწოდებლის გამოსავლენად			X	X

რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით არაფორმალური განათლების მოდულების შემუშავება			X	X
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა და ჩართვის მსურველი ორგანიზაციების რეგისტრაცია				X
ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება				X
ტრენინგების ორგანიზება				X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება			X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ორგანიზაციებში სხავადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალს გაზრდილი აქვს საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაცია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ორგანიზაციებში სხავადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალს გაზრდილი აქვს საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაცია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით.	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	60	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ/ სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 60	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში